## ხელშეკრულება #8

( სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. ჭიათურა 25.02.2016წ.

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა (შემდგომში,,დამკვეთი“),წარმოდგენილი მისი დირექტორის მზევინარ ტაბატაძის სახით და მეორეს მხრივ შპს,,ევროსტილი“ (შემდგომში ,,შემსრულებელი“),, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის,,ს“ქვე პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი1. ხელშეკრულების საგანი:**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ელექტრო ღუმელის (CPVკოდი 39711361 ),პლასტმასის პროდუქციის (CPVკოდი 195200000), (სამშენებლო მასალებისა და დამხმარე მასალების (CPVკოდი 44100000) შესყიდვა ხელსეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი)ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი ზედებულის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელსამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებასგადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი3. მხარეთაუფლება-მოვალეობები

*1. დამკვეთივალდებულია:*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

*2. შემსრულებელი ვალდებულია:*

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

*3. დამკვეთიუფლებამოსილია:*

3.1. მოითხოვოსშემსრულებლისაგანხელშეკრულებითნაკისრივალდებულებებისდროულიდახარისხიანი შესრულება;

*4.შემსრულებელი უფლებამოსილია:*

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი4. მხარეთაპასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არა ჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი5. ხელშეკრულებისმოქმედება**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის25 თებერვლიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი6.ხელშეკრულებისშეწყვეტა

1. ხელშეკრულებაა ვტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.



2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 8. დავის გადაწყვეტა**

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. ფორს მაჟორი**

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

**მუხლი 10. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| **დამკვეთი:**<br><br>ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ<br>წირქვალის საჯარო სკოლა<br>ს/კ 2156069690<br>მის. ჭიათურა, სოფელი წირქვალი<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE47BE0000000119124500<br>**დირექტორი**<br>**მზევინარ ტაბატაძე**<br>-----------------------------<br>(ხელმოწერა) | **შემსრულებელი**<br>შპს ,,ევროსტილი“<br>მის. ჭიათურა<br>ს/კ 415591194<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდიBAGAGE22<br>ა/ა GE78BG0000000350528500<br><br>-----------------------------<br>(ხელმოწერა) |